საქართველოს გენერალური პროკურატურა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

ანგარიში მომზადებულია 2021 წლის განმავლობაში განხორციელებული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგისა და სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

2022

შესავალი

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ ყოველწლიურად მზადდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წლიური ანგარიში, რომელიც განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგებს ეფუძნება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული პრობლემების, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის გზების დასახვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ახორციელებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების სისტემატურ მონიტორინგს.

ანგარიშში სწორედ 2021 წელს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგებია მოცემული. ვინაიდან, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ განრიდების გამოყენების შემთხვევებში ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, განრიდების ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია ამ ასაკობრივი კატეგორიის პირთა მიმართაც გახლავთ გაანალიზებული.

ძირითადი სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების მიხედვით, აგრეთვე სქესის, ასაკის, დანაშულის სახისა და კატეგორიის შესაბამისად.

ანგარიშში ასევე გაანალიზებულია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილებების მიღების დროულობისა და დასაბუთებულობის შესახებ ინფორმაცია. ანგარიში ასევე ეხება ძალადობის მსხვერპლ და რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირებას.

ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის - არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოების ფუნქციონირებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

პროკურატურისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. პროკურატურა განაგრძობს აქტიურ მუშაობას, რათა მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით დაიგეგმოს და განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის საფუძველზე ყოველწლიურად ხდება შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პროკურორთა საქმიანობის ხელშეწყობისა და საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხის ამაღლების მიზნით 2022 წელს განახლდა 2016 წლიდან დღემდე მოქმედი სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუქციები, შემუშავდა ახალი სახელმძღვანელო მითითებები, განხორციელდა მათი სისტემატიზაცია და მომზადდა კრებული.

სარჩევი

1. 2021 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა ზოგადი სტატისტიკა	4
2. 2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანაფარდობა	6
3. 2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანაფარდობა	10
4. 2021 წელს არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა განრიდების მაჩვენებელი სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით	11
5. 2021 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა სტატისტიკა დანაშულთა კატეგორიისა და სახის მიხედვით	12
6. მედიაციის მაჩვენებელი 2021 წლის განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ	16
7. 2021 წლის განრიდების მაჩვენებელი რეგიონებში	18
8. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა	20
9. 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვნებთან გაფორმებული ხელშეკრულების ხანგრძლივობა, განრიდების ფარგლებში გამოყენებული ღონისძიებები და განრიდების ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი	21
10.2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ზოგადი სტატისტიკა	25
11.2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკა დანაშაულთა მიხედვით	27
14.2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები	31
15.2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები	33
16.2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე განრიდების გარეშე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი	34
17.კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე არასრულწლოვანთა რეფერირება	35
18.ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა რეფერირება	36
19.მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობის შედეგები	37
20.ბავშვზე მორგებული გარემო	38
21.შეჯამება - 2021 წლის ძირითადი ტენდენციები	39

1. 2021 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა ზოგადი სტატისტიკა

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი - განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამა 2010 წლიდან მოქმედებს. საწყის ეტაპზე ის საპილოტე რეჟიმში რამდენიმე ქალაქში ფუნქციონირებდა და 2013 წლიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა.

2010-2015 წლებში განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში მხოლოდ არასრულწლოვანთა ჩართვა იყო შესაძლებელი. 2016 წლიდან პროგრამის მოქმედების სფერო გაფართოვდა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც გავრცელდა.

განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვისთვის აუცილებელია არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიერ ჩადენილი იყოს ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული, ის არ იყოს ნასამართლევი და წარსულში განრიდებული. ამასთან, განრიდების/განრიდება-მედიაციის პროცესი ეფუძნება ნებაყოფლობით პრინციპს და მხოლოდ განსარიდებლისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაშია შესაძლებელი პირის განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა.

განრიდება/განრიდება-მედიაციის პროგრამა წარმოადგენს არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების, არამედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც განრიდებულ პირს უფორმდება განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება და ეკისრება გარკვეული ვალდებულებები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში 14-დან 21 წლამდე ასაკის პირის ჩართვა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარი არ გულისხმობს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების „პატიებას.“ განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის ფარგლებში პროკურორს აქვს შესაძლებლობა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი განარიდოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, ამასთან, ხელი შეუწყოს დანაშაულის გაცნობიერებას, ჩადენილი ქმედების გააზრებას და მასზე პასუხისმგებლობის აღებას, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას, არასრულწლოვნის გამოსწორებასა და მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

2010-2021 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის სულ 5595 პირია განრიდებული, საიდანაც:

- 3571 არასრულწლოვანია
- 2024 პირი 18-დან 21 წლამდე ასაკისაა.



2021 წლის მონაცემებით სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა სულ 14-დან 21 წლამდე ასაკის 633 პირის მიმართ, საიდანაც:

- 363 არასრულწლოვანია
- 270 პირი 18-დან 21 წლამდე ასაკისაა.



2021 წლის განმავლობაში, როგორც არასრულწლოვანთა, ასევე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დეკემბრის თვეში დაფიქსირდა.

2. 2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანაფარდობა

განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამა ეფუძნება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საჭიროებებს, ხელს უწყობს მის რესოციალიზაციას და მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებელმა სავალდებულოდ მიიჩნია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი აკმაყოფილებს განრიდების კანონით დადგენილ კრიტერიუმებს, პროკურორმა პირველ რიგში განიხილოს განრიდების გამოყენების შესაძლებლობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 8, მე-2 ნაწილი:

„არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.“

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები), მუხლი 11. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული ღონისძიებებით:

11.1 მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ, სადაც შესაძლებელია, არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა მოხდეს ქვემოთ 14.1 წესით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირისათვის ფორმალურად განსახილველად საქმის გადაცემის გარეშე.

11.2 პოლიციას, პროკურატურას და სხვა ორგანოებს, რომლებიც იხილავენ არასრულწლოვანთა საქმეებს, უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში მიიღონ გადაწყვეტილება ფორმალური განხილვის გარეშე შესაბამის სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ წესებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად.

11.3 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული გამასწორებელი ღონისძიებებით, რაც მოიცავს საქმის გადაცემას შესაბამისი საზოგადოებრივი ან სხვა სამსახურისათვის, მოითხოვს არასრულწლოვანის ან მისი მშობლის ან მეურვის თანხმობას, თუ ასეთი გადაწყვეტილება საქმის გადაცემის შესახებ, შეიძლება განიხილოს კომპეტენტურმა ორგანომ, გასაჩივრების შემთხვევაში.

11.4 რათა განვითარდეს არასრულწლოვანთა საქმეებზე დისკრეციულად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული გამოსასწორებელი ღონისძიებებით, ხელი უნდა შეეწყოს საზოგადოებრივი პროგრამების შემუშავებას, როგორიცაა დროებითი ზედამხედველობა და მეურვეობა, მსხვერპლთა სასარგებლოდ რესტიტუცია და კომპენსაცია.

მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10:

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, რომელიც სხვათა შორის, გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ, ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენებას, როგორიცაა მართლმსაჯულების სისტემისაგან განრიდება და აღდგენითი მართლმსაჯულება, საშუალებას მისცემს მონაწილე სახელმწიფოებს, უპასუხონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საჭიროებებს. ამ გზით, ისინი შეძლებენ არა მხოლოდ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის, არამედ საზოგადოების მოკლე და გრძელვადიანი ინტერესების დაცვასაც.”

„კონვენციის მეორმოცე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულები არიან, იმ ბავშვების მიმართ, რომლებმაც, სავარაუდოდ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულები არიან მის დამრღვევებად, მხარი დაუჭირონ ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც არ ითვალისწინებს ფორმალურ სამართალწარმოებას. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ არასრულწლოვანი კანონდამრღვევების უმეტესობა, ძირითადად მსუბუქ დანაშაულს სჩადის, მათ მიმართ ისეთი ზომების გატარება, რომლებიც გამიჯნულია სისხლის სამართლის/არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებისგან და რომლებიც გულისხმობს ალტერნატიული (სოციალური) სერვისების გამოყენებას, (მაგალითად, განრიდება), უნდა იყოს რაც შეიძლება ფართოდ დანერგილი და გავრცელდეს საქმეების უმეტესობაზე.“

გაეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის მოდელი და მისი კომენტარები. მუხლი 15:

„სასამართლო განხილვის ალტერნატიული ზომების [განრიდების] მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მიმართ სასამართლო განხილვის დაწყების თავიდან აცილება ან დაწყებული განხილვის შეჩერება, და გავლენის მოხდენა ბავშვის სწორ განვითარებაზე მისი პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებით, რათა ხელი შეუწყოს ბავშვის რეინტეგრაციასა და მის მიერ კონსტრუქციული როლის შესრულებას საზოგადოებაში.“

პროკურორთა მიერ განრიდების მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობაზე არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობაც მიუთითებს. 2016 წლიდან განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანთა რაოდენობა ბევრად აღემატება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ არასრულწლოვანთა რაოდენობას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე განრიდების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო. 2016 წლიდან კი ეს მაჩვენებელი 50%-ზე მაღალია.

განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ პირთან მულტიდისციპლინური მიდგომების საფუძველზე მუშაობას იწყებს სოციალური მუშაკი და მედიატორი, რაც გულისხმობს მრავალმხრივ შეხვედრებს, მხარეებთან კონსულტაციებს, შეფასების პროცესში არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ინტერვიურებას, რაც ზრდიდა კორონა ვირუსის გავრცელების რისკებს. COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დისტანციურ მექანიზმებზე გადასვლამდე და განრიდების პროგრამის ონლაინ სერვისების მოძიებამდე, ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ვადით მიზანშეწონილად ჩაითვალა განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის შეჩერება. COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს პროკურატურის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის

პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ წარმომადგენელთა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებებით შემოღებულ იქნა განსაკუთრებული ღონისძიებები, რომელთა თანახმადაც, ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის არსებობის პერიოდით შეჩერდა განრიდება-მედიაციის პროგრამა. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, გამონაკლისის სახით, განრიდების პროცედურები ხორციელდებოდა მხოლოდ იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებზეც სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები იწურებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, განსაკუთრებული ღონისძიების მოქმედების პირობებშიც კი, შესაძლებელი გახდა 2020 წელს 298 არასრულწლოვნის ჩართვა განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში.

2021 წელს, იმ პირობებში, როდესაც შეზღუდვები ეტაპობრივად მოიხსნა, მოხერხდა განრიდების გამოყენების ზრდის დინამიკის აღდგენა და რაოდენობრივ მაჩვენებელთან ერთად მოიმატა არასრულწლოვანთა განრიდების ხვედრითმა წილმაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით. 2021 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაა 614, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 363 (59%) არასრულწლოვანი. აღსანიშნავია რომ 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 5%-ით არის მომატებული 2020 წელთან შედარებით.





მნიშვნელოვანია განრიდების მაჩვენებელი შედარდეს იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობას, რომლებიც განრიდების ფორმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, თუმცა პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

2021 წელს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემული 251 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 91 აკმაყოფილებდა განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს. 2021 წლის მონაცემებით, განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს 454-ია, საიდანაც პროკურორმა განრიდების გადაწყვეტილება 363 (80%) არასრულწლოვნის მიმართ მიიღო.

2019 წელს ზემოაღნიშნული მაჩვენებელი 76%, ხოლო 2020 წელს 75% გახლდათ, რაც მიუთითებს, რომ გასულ წლებთან შედარებით 2021 წელს, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული.





ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, პროკურორები არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას განიხილავენ და არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მას შემდეგ, როდესაც შეფასდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

3. 2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების თანაფარდობა

პროკურორთა მიერ არასრულწლოვანთა განრიდების შესახებ დროული და სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ დაბალია განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი.

2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან განრიდებამდე ბრალდებულად ცნობილ იქნა 24 არასრულწლოვანი. მათგან 7 არასრულწლოვნის მიმართ პროკურორმა საქმის სასამართლოში წარმართვამდე თავად მიიღო განრიდების გადაწყვეტილება.

განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი

2021 წელს სასამართლომ განრიდების მიზნით პროკურორს დაუბრუნა მხოლოდ 18 არასრულწლოვნის საქმე. ამდენად, სასამართლოდან განრიდების მიზნით არასრულწლოვანის საქმეთა დაბრუნების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და 5%-ს წარმოადგენს.

წინა წლებთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. განრიდების მიზნით არასრულწლოვანთა საქმის სასამართლოდან დაბრუნების მაჩვენებელი 2020 წელს 9%, 2019 წელს - 8%, 2018 წელს კი 6% იყო.

სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნებულ საქმეთა მაჩვენებელი



4. 2021 წელს არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა განრიდების მაჩვენებელი სქესისა და მოქალაქეობის მიხედვით

განრიდების მაჩვენებელთა ანალიზის თანახმად, ისევე, როგორც გასულ წლებში, 2021 წელსაც განრიდება უმეტესად გამოყენებული იქნა მამრობითი სქესის არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა მიმართ. აღნიშნულს მამრობითი სქესის პირების მიერ დანაშაულის ჩადენის უფრო მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს.



2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან 327 (90%) მამრობითი სქესის, ხოლო 36 (10%) მდედრობითი სქესისაა.

2021 წელს 270 განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის პირიდან 246 (92%) მამრობითი სქესის, ხოლო 24 (8%) მდედრობითი სქესისაა.



ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს ტერიტორიაზე დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს, ცხადია განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის მოქმედება მათ მიმართაც ვრცელდება. შესაბამისად, არასრულწლოვანი/18-დან 21 წლამდე უცხო ქვეყნის მოქალაქის/მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული ღონისძიებები.

- 2021 წლის მონაცემებით განრიდების პროგრამაში მხოლოდ 2 უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩაერთო, რომელთაგან 1 აზერბაიჯანის და 1 სომხეთის მოქალაქე გახლდათ. განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული ერთი პირი კი მოქალაქეობის არმქონე იყო.

- 2021 წელს განრიდების პროგრამაში ჩართული სამივე პირი, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არ იყვნენ, არასრულწლოვანი გახლდათ.

5. 2021 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა სტატისტიკა დანაშულთა კატეგორიისა და სახის მიხედვით

2021 წელს 14-დან 21 წლამდე განრიდებული 633 პირიდან განრიდება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი 268 პირის მიმართ იქნა გამოყენებული. ე.ი. 2021 წელს **42%** შემთხვევაში განრიდებული იქნა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი, ხოლო **58%** შემთხვევაში ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი 14-დან 21 წლამდე ასაკის პირი.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს რომ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის მომატებული.

პროკურორები მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდებას უფრო აქტიურად იყენებენ არასრულწლოვანთა მიმართ. 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 195-ს **(54%)**, ხოლო 18-დან 21 წლამდე განრიდებული 270 პირიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა მხოლოდ 73-ს **(27%)**.

2018-2020 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთაგან მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების პროცენტული მაჩვენებელი



2020 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა განრიდების მაჩვენებელი მძიმე კატეგორიის დანაშაულზე



განრიდების გამოყენება დანაშაულთა ერთობლიობაზეც ხდება. მათ შორის, არის შემთხვევები, როდესაც სახეზეა დანაშაულის 3, 4 ან უფრო მეტი ეპიზოდიც. შესაბამისად, პროკურორი არასრულწლოვანს ერთ შანსს აძლევს და რთავს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებში იმ შემთხვევაშიც, როცა მას ჩადენილი აქვს დანაშაულის რამდენიმე ეპიზოდი. გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორისთვის მნიშვნელოვანია რომ თითოეული არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასებისას იკვეთებოდეს დამცავი ფაქტორები, რომელიც არასრულწლოვანთან მუშაობისას არსებული რისკფაქტორების მინიმუმამდე დაყვანის, მისი რესოციალიზაციის და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

- 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდდა 73 (20%), ხოლო 18-დან 21 წლამდე განრიდებული 270 პირიდან - 44 (16%) პირი.
- 2021 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 73 არასრულწლოვნიდან ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა ჩადენილი ჰქონდა 20 არასრულწლოვანს, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 24, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 29 არასრულწლოვანს.
- 2021 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის 44 პირიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა ჩადენილი ჰქონდა 30 პირს, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 3 პირს, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშულთა ერთობლიობა 11 პირს.

არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენება ყველაზე ხშირ შემთხვევებში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ხდება, რომელთაგან ძირითად შემთხვევებში სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - ქურდობის ჩადენა.

2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 239 **(66%)** არასრულწლოვანს.

ისევე, როგორც არასრულწლოვნებში, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების მიმართაც განრიდება ძირითად შემთხვევებში სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას მოხდა. 2021 წელს განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის 270 პირიდან 158-ს **(59%)** სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

2021 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, მათ შორის დანაშაულთა ერთობლიობაზე





2021 წელს 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, მათ შორის დანაშაულთა ერთობლიობაზე





6. მედიაციის მაჩვენებელი 2021 წლის განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ

> *აღდგენითი მართლმსაჯულება სწრაფად ვითარდება ევროპის მასშტაბით. ჩვენ ვხედავთ საქართველოს მზარდ დაახლოვებას ევროპულ სტანდარტებთან და სახელმწიფო ინსტიტუტების მზაობას აღდგენითი მართლმსაჯულების შემდგომი განვითარებისთვის.*
>
> *კარლ ჰარცელი*
> *ევროკავშირის ელჩი საქართველოში*

მედიაცია ანუ კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისა და დაზარალებულის შეხვედრა და მათ შორის დიალოგის პროცესი განსაკუთრებულ მნიშვნელობას კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ იძენს, რადგან აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებას და იმის გააზრებას, თუ რა შედეგი მოჰყვა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ ქმედებას, რა ზიანი მიადგა მეორე ადამიანს მის მიერ განხორციელებული ქმედებით. აღნიშნულს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნების მიღწევისთვის. მედიაციის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტრუმენტის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა.

მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელება პროკურატურისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. განრიდების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების შემდეგ, პროკურორი ხვდება დაზარალებულს, რომელსაც აწვდის ინფორმაციას განრიდებისა და მედიაციის პროცესის შესაძლო დაწყების შესახებ და განუმარტავს მას გადაწყვეტილების მიღების საფუძველსა და მიზეზებს.

პროკურორი დაზარალებულთან კომუნიკაციას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება. პროკურორი დაზარალებულს ატყობინებს და განუმარტავს პროცესში მედიატორის ჩართვის აუცილებლობას, ასევე მედიატორის პროცესში მონაწილეობის მიზანსა და არსს.

პროკურორი მედიაციის მიზნით განრიდების ყველა იმ საქმეს, რომელზეც სახეზე გვყავს დაზარალებული, მიუხედავად დაზარალებულის პოზიციისა, ამისამართებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში. სწორედ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მედიატორები წარმართავენ მედიაციის პროცესს. მედიაციის პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მედიატორი მედიაციის კონფერენციაზე აფორმებს განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებას.

2018-2019 წლებში მედიაციის მატების დადებითი ტენდენცია შეინიშნებოდა.
2016-2017 წლებში მედიაციის მაჩვენებელი 39% გახლდათ.
2018 წელს მედიაციის მაჩვენებელმა 39%-დან 41%-მდე მოიმატა.
2019 წელს მედიაციის მაჩვენებელი 54%-მდე გაიზარდა.
2020 წლის მონაცემებით მედიაციის მაჩვენებელი პანდემიის გამო კვლავ შემცირდა 41%-მდე.
2021 წელს მედიაციის მაჩვენებელი 65%-ია.



სტატისტიკური მონაცემების ანალიზი არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ აჩვენებს, რომ მედიაცია უფრო აქტიურად არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება.

- 2021 წელს არასრულწლოვნის განრიდების 363 შემთხვევიდან დაზარალებული ჰყავდა 343 საქმეს, საიდანაც მედიაცია წარმატებით დასრულდა 235 (69%) შემთხვევაში;
- 2021 წელს 18-დან 21 წლამდე განრიდებული 270 პირიდან დაზარალებული ჰყავდა 253 საქმეს, საიდანაც მედიაცია წარმატებით დასრულდა 154 (61%) შემთხვევაში.

პროკურატურა მუდმივად აკვირდება მედიაციის მაჩვენებელს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინირებით აანალიზებს ამ მიმართულებით არსებულ ტენდენციებს. პროკურატურა გააგრძელებს მედიაციის პროცესისა და აღდგენითი მართლმსაჯულების აქტიურ მხარდაჭერას.

7. 2021 წლის განრიდების მაჩვენებელი რეგიონებში

2021 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთაგან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე დაბალი - ქვემო ქართლის რეგიონში.

2021 წელს განრიდების საერთო მაჩვენებელი გენერალურ პროკურატურაში, თბილისსა და რეგიონებში



2021 წელს განრიდების საერთო მაჩვენებელი გენერალურ პროკურატურაში, თბილისსა და რეგიონებში არასრულწლოვნებსა და 18-დან 21 წლამდე პირებში



არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნასთან შეფარდებით განრიდების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი აჭარის რეგიონში, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისშია.

ქვემო ქართლში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნისა და განრიდების თანაფარდობა თანაბარია.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა.

2020 წელს თბილისსა და რეგიონებში არასრულწლოვანთა განრიდების პროცენტული მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივ დევნასთან შეფარდებით



8. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა

განრიდების პროგრამის ფარგლებში არასრულწლოვნის ქცევაზე განხორციელებული ინტერვენცია ეფექტიანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ გადაწყვეტილებები დროულად, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე მიმდინარეობს. გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, არასრულწლოვნის განრიდების შესახებ გადაწყვეტილება, როგორც წესი, დანაშაულის ჩადენიდან და პირის ბრალდებულად ცნობის სტანდარტის გამოკვეთიდან პირველივე თვეს ხდება.

პერიოდი დანაშაულის ჩადენიდან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე



პერიოდი ბრალდებულად ცნობის საფუძვლის გამოკვეთიდან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე



9. 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვნებთან გაფორმებული ხელშეკრულების ხანგრძლივობა, განრიდების ფარგლებში გამოყენებული ღონისძიებები და განრიდების ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი

- განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა.
- განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება კანონთან კონფლიქტში მყოფ პირთან შეიძლება გაფორმდეს 1-დან 12 თვემდე ვადით.
- განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა და პირობები არასრულწლოვნის რისკ და დამცავი ფაქტორების გათვალისწინებით უნდა შეირჩეს და უზრუნველყოფდეს ბავშვის მიერ ჩადენილი ქმედების გააზრებას, მავნე ქცევების დაძლევას, ძლიერი მხარეების მოტივაციას და ბავშვის უნარების გაუმჯობესებას.

2021 წელს განრიდებულთა მიმართ გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის თანახმად, ძირითად შემთხვევებში არასრულწლოვანთან განრიდების ხელშეკრულება 3-დან 6 თვემდე ვადით ფორმდება.

2021 წელს არასრულწლოვნის მიმართ განრიდების ხელშეკრულება მინიმალური ვადით (1 თვით) არ გაფორმებულა.

მაქსიმალური (12 თვის ვადით) განრიდების ხელშეკრულება მხოლოდ ერთ არასრულწლოვანთან იქნა გაფორმებული.

განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დანაშულის პრევენციის ცენტრი ყოველწლიურად ამუშავებს არასრულწლოვნებისთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაციას.

არასრულწლოვანთა მიმართ 2021 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის თანახმად, არასრულწლოვნებისთვის შეთავაზებული სერვისები და ვალდებულებები აერთიანებს საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული, ფსიქო-სარეაბილიტაციო და საზოგადოებისათვის სასარგებლო სხვა ხასიათის აქტივობებს.

სხვადასხვა მიმართულებით კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის განრიდების პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სერვისები შემდეგი სახისაა:

საგანმანათლებლო და დანაშაულის გაცნობიერებაზე მიმართული აქტივობები:

- სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სამართლებრივი ლიტერატურის (მაგალითად „სამართლის ქალაქი“) და მხატვრული ლიტერატურის გაცნობა;
- ესეს დაწერა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად: „რა მასწავლა ამ შემთხვევამ და რას გავითვალისწინებ მომავალში“, „ჩემი ზიანი დაზარალებულის მიმართ“, „რამდენად აისახება ჩემი ფასეულობა ჩემსავე ქცევაში“, „რა შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში მომხდარი დანაშაულის შემდეგ“, „დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორები და შედეგები“, „რა მასწავლა ჩადენილმა დანაშაულმა“, „განრიდების პროგრამის შედეგად მიღებული გამოცდილება“, „საკუთარი ინტერესები და სამომავლო გეგმები“, „მე - დაზარალებული“, „საკუთრების წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებები და შესაძლო სასჯელები“, „რომ არა განრიდების პროგრამა“, „მოხალისეობრივი საქმიანობის მნიშვნელობა“, „ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობის მოხმარების შედეგად გამოწვეული საფრთხეები და რისკები“, „ჩემი ემოციური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის შემდეგ“, „კომპიუტერული თამაშების გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე“, „პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობა“, „განრიდების პროგრამა - მოზარდისათვის მიცემული ერთი შანსი“, „დანაშაულის მაპროვოცირებელი გარემოებები და შედეგები“, „თუ ჩემთვის მნიშვნელოვანს სხვა მომპარავს“, „ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზები და შედეგები“, „ლეგალური ფსიქოაქტიური ნივთიერების - თამბაქოს საზიანო შედეგები“, „ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ცხოვრებაში“, „რა შეიძლება გამოიწვიოს მოძრაობის დაწყებამ და არასწორმა მანევრირებამ?“);
- სხვადასხვა დანაშაულთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაცნობა;
- მავნე ჩვევების (ალკოჰოლის, ნარკოტიკის მოხმარება, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება და ა.შ.) რისკებისა და საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაცნობა;
- სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, გაკვეთილებზე დროულად გამოცხადება და გაცდენების შეზღუდვა;
- მინანქრის წრის გაკვეთილებზე დასწრება;
- პროფესიული სასწავლო კურსის გავლა სტილისტის სპეციალობით;
- სახელობო სწავლებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა.

ფსიქო-სარეაბილიტაციო სერვისები:

- მონაწილეობა ტრენინგ-კურსებში: „დანაშაულის გაცნობიერება“, „კონფლიქტები და ასერტიული ქცევა“, „პოზიტიური ურთიერთობები და ცხოვრებისეული ფასეულობები“, „მომავლის დაგეგმვა“, „ბრაზის მართვა“, „სტრესის მართვა“, „ეფექტური კომუნიკაცია“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა“, „თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების მოდული“, „ადამიანის უფლებები, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარება“;
- ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან ინდივიდუალური კონსულტაციები თემაზე: დამოკიდებული ქცევა და მისი ნეგატიური შედეგები, ძალადობის სახეების, შედეგების და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ; ინდივიდუალური კონსულტაციები ალკოჰოლის მოხმარების უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით; ძალადობის შედეგების გააზრებისა და თვითკონტროლის უნარების გამომუშავება; პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობაზე; დანაშაულის რაობა; ხელშემწყობი ფაქტორები; სასჯელის მიზანი; ძალადობრივი ქცევის მართვა;
- განსარიდებლის და მისი ოჯახის კონსულტაცია დელიქვენტური ქცევების მქონე პირებთან მეგობრობის საფრთხეების შესახებ.

საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობები:



- ეკლესიის, სახლ-მუზეუმების, ბიბლიოთეკის, ქალაქის კულტურის ცენტრისა და სკვერის დასუფთავება/დალაგების პროცესში მონაწილეობა;
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრებში სიარული და ბავშვების დახმარება;
- საქველმოქმედო ორგანიზაციის დახმარება სოციალურად დაუცველი მოხუცების კვებით უზრუნველყოფის პროცესში;
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრში სიარული და ბავშვების დახმარება გაკვეთილების მომზადებაში.

დაზარალებულის სასარგებლოდ დაკისრებული ვალდებულებები:

- დაზარალებულისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება;
- დაზარალებულისთვის წერილის მიწერა, სადაც უამბობს საკუთარი თავის, თავისი ქმედების და მისდამი დამოკიდებულების შესახებ;
- დაზარალებულისთვის დაზიანებული ნივთის შეკეთებაში დახმარება;
- დაზარალებულის დახმარება მაღაზიაში სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებით.

სხვა სახის შეზღუდვები და ვალდებულებები:

- შინიდან გასვლის შეზღუდვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში (ძირითადად, ღამის საათებში) და შესაბამისი გამონაკლისით;
- დაზარალებული იურიდიული პირის საქმიანობის სპეციფიკის, მისი დაარსებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა მასთან მომუშავე პროფესიონალების ინფორმირების გარეშე;
- აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლის, ასევე იმ პირებთან ურთიერთობის დამყარების აკრძალვა, რომლებმაც შეიძლება შეუწყონ ხელი მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას;

2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმეორებითი დანაშული ჩადენილი ქონდა მხოლოდ 8 არასრულწლოვანს. რვავე მათგანის მიმართ შეწყდა განრიდების ხელშეკრულება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულების პირობების სხვაგვარი დარღვევა დაფიქსირდა 11 შემთხვევაში. თერთმეტივე არასრულწლოვანთან გაგრძელდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა. მოცემული ეტაპისთვის ხელშეკრულების პირობების განმეორებით დარღვევის შემთხვევა დაფიქსირებული არ არის.

10. 2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ზოგადი სტატისტიკა

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობის მიუხედავად, რიგ შემთხვევაში პროკურატურას უწევს 14-დან 18 წლამდე ასაკის პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

- 2021 წლის მონაცემებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 251 არასრულწლოვნის მიმართ, რაც 2018 წლის შემდგომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.
- 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, არასრულწლოვანთა დანაშაულის მატების პირდაპირპროპორციულად მომატებული იყო არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.
- 2019 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელის მცირეოდენი კლება შეინიშნებოდა.
- 2020 წელს ასევე შემცირებულია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.
- 2021 წელს კვლავ შენარჩუნებულია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კლების ტენდენცია.

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი მოიცავს ერთი და იგივე არასრულწლოვნის მიმართ დევნის დაწყების რაოდენობას სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე. არასრულწლოვანთა ნაწილი განმეორებითი დანაშაულის ჩადენისკენ არის მიდრეკილი. რიგ შემთხვევებში ერთი და იგივე არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებაზე დევნა განხორციელდა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. მაგალითად, შესაძლებელია არასრულწლოვანმა კონკრეტულ პერიოდში ჩაიდინა დანაშაული, ფაქტზე დაიწყო გამოძიება და არასრულწლოვანს წარედგინა ბრალი, თუმცა რამდენიმე თვეში გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანმა კვლავ ჩაიდინა დანაშაული. განმეორებით დანაშაულზე დაიწყო დამოუკიდებელი გამოძიება და არასრულწლოვანს მის მიერ ჩადენილ განმეორებით დანაშაულზე უკვე სხვა სისხლის სამართლის ფარგლებში წარედგინა ბრალი. ამ შემთხვევაში, ერთი და იგივე არასრულწლოვანს ორ სხვადასხვა საქმეზე აქვს ბრალდებულის სტატუსი. სრული სურათის გაანალიზების მიზნით მოხდა აღნიშნული შემთხვევების იდენტიფიცირება და განისაზღვრა არასრულწლოვნების რაოდენობა, რომელთა მიმართაც დევნა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებზე დაიწყო.

2021 წლის მონაცემების ანალიზის თანახმად რამდენიმე არასრულწლოვნის მიმართ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე იქნა გამოტანილი დადგენილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. დევნის დაწყების შესახებ გამოტანილი 251 დადგენილების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა სულ 196 ბავშვის მიმართ ერთ ან რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე, საიდანაც:

- 153 არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა თითო სისხლის სამართლის საქმეზე;
- 43 არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა პარალელურ რეჟიმში 2 ან მეტ სისხლის სამართლის საქმეზე.

2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ერთ ან სხვადასხვა საქმეზე



2021 წელს, 251 არასრულწლოვანი ბრალდებულიდან 246 საქართველოს მოქალაქე, 4 აზერბაიჯანის, ხოლო 1 უზბეკეთის მოქალაქე გახლდათ.

2021 წლის მონაცემებით, ბრალდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი სქესის მიხედვით ასე გადანაწილდა: 233 მამრობითი სქესის, ხოლო -18 არასრულწლოვანი მდედრობითი სქესის გახლდათ.

11. 2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა სტატისტიკა დანაშაულთა მიხედვით

2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითად შემთხვევაში მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელდა.

2021 წელს ბრალდებული 251 არასრულწლოვნიდ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო:

- 161-ის (64%) მიმართ მძიმე კატეგორი დანაშაულზე;
- 73-ის (29%) მიმართ ნაკლებად მძიმე კატეგორი დანაშაულზე;
- 17-ის (7%) მიმართ განსაკუთრებით მძი კატეგორიის დანაშაულზე.

2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



2021 წელს ბრალდებული 251 არასრულწლოვნიდან 92 (37%) არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშულთა ერთობლიობაზე დაიწყო. მათგან 40 არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდა მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 30 არასრულწლოვანს - მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 12 არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 5 არასრულწლოვანს - განსაკუთრებით მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 4 არასრულწლოვანს - განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, ხოლო 1 არასრულწლოვანს - განსაკუთრებით მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა.

დანაშაულთა ერთობლიობაზე არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით



2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიერ ცალკეული დანაშაულების, მათ შორის დანაშაულთა ერთობლიობის ჩადენის სტატისტიკური მაჩვენებელი შემდეგია:





12. 2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი თბილისის მასშტაბით ფიქსირდება, რასაც თბილისში დანაშაულის ჩადენის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს. თბილისის მასშტაბით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საერთო რაოდენობიდან 5 არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა საქართველოს გენერალური პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. 2021 წელს არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ფაქტი არ დაფიქსირებულა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ხოლო კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ დევნის დაწყების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კახეთის რეგიონში დაფიქსირდა.

2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით



13. 2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გადაწყვეტილებების მიღების დროულობა

განრიდების მსგავსად, არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გამოძიების დაწყებიდან პირველივე თვეს ხდება. 2021 წლის მონიტორინგის შედეგების თანახმად, 251 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 166-ის (66%) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველივე თვეს იქნა მიღებული.

პერიოდი გამოძიების დაწყებიდან არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე

რაც შეეხება გამოძიების ვადებს, წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შესახებ პროკურორმა შუამდგომლობა მხოლოდ 3 შემთხვევაში დააყენა. სასამართლომ, დაცვის მხარის მოსაზრების მოსმენის შემდეგ, სამივე შემთხვევაში დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელების შესახებ.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები ცალსახად მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოძიების წარმოება, გადაწყვეტილებების მიღება და მართლმსაჯულების პროცესის წარმართვა დროულად, გაუმართლებელი დაყოვნებების გარეშე ხდება.

პროკურატურა აღნიშნული მიმართულებით კვლავ გააგრძელებს მონიტორინგს.

14. 2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები

2021 წელს, 251 ბრალდებული არასრულწლოვნიდან პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოთხოვნილი იქნა 214 არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო 37 (15%) არასრულწლოვნის მიმართ არ იქნა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა ბრალდებულ არასრულწლოვანთა 29%-ის მიმართ იქნა მოთხოვნილი, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი პროკურორმა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ იშუამდგომლა.

20 არასრულწლოვნის მიმართ სასამართლოს არ განუხილავს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა, ვინაიდან ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე დამტკიცდა არასრულწლოვან ბრალდებულთან დადებული საპროცესო შეთანხმება. სასამართლოს მიერ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ძირითად შემთხვევებში გამოყენებული იქნა გირაო, 60 არასრულწლოვნის მიმართ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა, ხოლო 3 არასრულწლოვანს არ შეუფარდა არცერთი სახის აღკვეთის ღონისძიება.

2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთ მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებები



2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთ მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებები



2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ პროკურატურის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგია:

მოთხოვნილი გირაო		**102**
შეეფარდა	გირაო	77
	აღკვეთზე საპროცესო	17
	აღკვეთის გარეშე	3
	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	3
	მეთვალყურეობაში გადაცემა	2
მოთხოვნილი მეთვალყურეობაში გადაცემა		**31**
შეეფარდა	მეთვალყურეობაში გადაცემა	28
	აღკვეთზე საპროცესო	3
მოთხოვნილი პატიმრობა		**73**
შეეფარდა	პატიმრობა	60
	გირაო	13
მოთხოვნილი საპატიმრო გირაო		**6**
შეეფარდა	გირაო	5
	საპატიმრო გირაო	1
მოთხოვნილი შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ		**2**
შეეფარდა	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	2

ამდენად, 2021 წელს ბრალდებული 251 არასრულწლოვნიდან სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ იმსჯელა 194 შემთხვევაში. ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის არდაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ია. პროკურორის შუამდგომლობა 54% შემთხვევაში სრულად დაკმაყოფილდა.

2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



15. 2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები

მონიტორინგის დასრულების ეტაპისთვის, 2021 წელს ბრალდებული 251 არასრულწლოვნიდან:

- 2 არასრულწლოვნის მიმართ შეურაცხაობის საფუძვლით შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა;
- 12 არასრულწლოვნის მიმართ მიღებული იქნა განრიდების გადაწყვეტილება;
- 39 არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს გამოძიება;
- 114 არასრულწლოვნის მიმართ საქმე სასამართლოში წარმართულია არსებითი განხილვის მიზნით;
- 84 არასრულწლოვნის მიმართ დადგა განაჩენი.

84 არასრულწლოვნიდან 34-ის მიმართ განაჩენი არსებითი განხილვით იქნა გამოტანილი, ხოლო 50 არასრულწლოვნის მიმართ განაჩენი დადგა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე. უმრავლეს შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე. უფრო კონკრეტულად, საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

- 24 არასრულწლოვნის მიმართ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე;
- 18 არასრულწლოვნის მიმართ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე;
- 7 არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შემდეგ, წინასასამართლო სხდომამდე;
- 1 არასრულწლოვნის მიმართ წინასასამართლო სხდომაზე.

2021 წელს ბრალდებული 251 არასრულწლოვნიდან 1პირის მიმართ გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო დანარჩენი 83 არასრულწლოვნიდან, რომელთა მიმართაც განაჩენი დადგა, ძირითად შემთხვევებში არასაპატიმრო სასჯელი იქნა გამოყენებული. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა მხოლოდ 24 არასრულწლოვანს.

არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელები



16. 2021 წელს არასრულწლოვანთა მიმართ დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე განრიდების გარეშე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი

2021 წელს 25 არასრულწლოვნის მიმართ ქმედების ხასიათის, ზიანის მცირე მნიშვნელობისა და დევნის დაწყების საჯარო ინტერესის არარსებობის გამო, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, პროკურორმა განრიდების გარეშე უარი თქვა ბრალდებაზე. მოცემულ შემთხვევაშიც, არასრულწლოვანთა მიერ უმეტესად ჩადენილი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარი დისკრეციით



17. კანონთან კონფლიქტში მყოფ 14 წლამდე არასრულწლოვანთა რეფერირება

საქართველოს პროკურატურა რთული ქცევის მქონე ბავშვების რეფერირების სისტემის მონაწილე უწყებაა.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N681 დადგენილებით დამტკიცდა არასრულწლოვანთა რეფერირების წესი, რომლის მიზანია ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომის გზით რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების სოციალიზაცია, რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია, დანაშაულის პრევენცია. რეფერირების მექანიზმი შესაძლებლობას იძლევა დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის სააგენტოს რეფერირების ცენტრში პროკურატურის მიერ გადამისამართდეს 7-დან 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. ასევე უნდა გადამისამართდეს 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირის მიმართ დაწყებულია განრიდების პროცესი ან მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის სახით მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა.

რეფერირების ცენტრი 2020 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირებას. მთავრობის დადგენილების საფუძველზე საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა „რთული ქცევის მქონე არასრულწლოვანთა რეფერირების პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქცია“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 6 მაისის №52-გ ბრძანებით. ინსტრუქციაში დეტალურად გაიწერა რეფერირების საფუძვლები და წესი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფერირების ცენტრში პროკურატურის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი, 14 წლამდე ასაკის 34 არასრულწლოვანი იქნა გადამისამართებული.

18. ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა რეფერირება

საქართველოს პროკურატურა აქტიურად არის ჩართული ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა რეფერირების მექანიზმშიც.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები, რომლის მიზანია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის ხელშეწყობა, რეფერირების პროცედურების კოორდინირებული და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზით.

მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების, მათ შორის პროკურატურის უფლება-მოვალეობები ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა გადამისამართების დროს.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურორის 2018 წლის 8 მარტის N38-მ ბრძანებით დამტკიცდა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში საქართველოს პროკურატურის სამოქმედო ინსტრუქცია.

2021 წლის მონაცემებით, საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში“ გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი 24 არასრულწლოვანი, საიდანაც 9 არასრულწლოვნის მიმართ იკვეთებოდა ფიზიკური ძალადობის, ხოლო 7 არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნები, 3 არასრულწლოვნის მიმართ ადგილი ჰქონდა სექსუალურ ძალადობას, 2 არასრულწლოვანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო, 1 შემთხვევაში სახეზე გვქონდა უგულებელყოფა და ფსიქოლოგიური ძალადობა, 1 შემთხვევაში იკვეთებოდა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ფაქტები, ხოლო 1 შემთხვევაში - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები.

19. მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობის შედეგები

უწყებათშორის მულტიდისციპლინური მექანიზმების ჩამოყალიბებისა და მათი შემდგომი გაძლიერების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, 2016 წელს საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი - არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭო.



არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოები აერთიანებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პროკურორებს, გამომძიებლებს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, სოციალურ მუშაკებს, მედიატორებს, მუნიციპალიტეტების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებს. ადგილობრივი (რეგიონული) პრინციპის გათვალისწინებით, ქვეყნის მასშტაბით შექმნილია რვა მულტიდისციპლინური ჯგუფი: თბილისში, ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში.

2021 წელს, 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში, არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს 5 შეხვედრა გაიმართა. მულტიდისციპლინური ჯგუფების შეხვედრებს ესწრებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი. COVID-19-ის გავრცელების პრევენციის მიზნით ადგილობრივმა საბჭოებმა ონლაინ სივრცეში იმუშავეს. პროკურატურის მხრიდან შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ მოხსენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. ასევე, მონაწილეებს უწყებების მიხედვით მიეწოდათ ინფორმაცია გასულ შეხვედრებზე განხილული საკითხების თაობაზე. უწყების წარმომადგენლებმა განიხილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არსებული გამოწვევები, იმსჯელეს პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე. უწყების წარმომადგენელთა მხრიდან ხაზი გაესვა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების მნიშვნელობას უწყებათშორისი კოორდინაციის გაძლიერების მიმართულებით.

საქართველოს გენერალური პროკურატურა

20. ბავშვზე მორგებული გარემო

პროკურატურა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფისთვის არაერთი მიმართულებით აგრძელებს აქტიურ მუშაობას.

პროკურატურამ ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების კონცეფციაზე მუშაობა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით 2017 წელს დაიწყო, ხოლო მისი დანერგვა 2018 წელს მოხდა ჯერ რუსთავის, ხოლო 2019 წელს ხელვაჩაურის რაიონულ პროკურატურაში.

გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შემუშავდა ინსტრუქცია, რომელიც პროკურორებსა და გამომძიებლებს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლონ არსებული ინფრასტრუქტურით.

ბავშვზე მორგებული გარემოს გაფართოების მიმართულებით წარმატებული გამოდგა 2021 წელი. აღნიშნულ წელს ბავშვზე მორგებული გარემო შეიქმნა სენაკისა და საჩხერის რაიონულ პროკურატურებში, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი სივრცეების ტექნიკური აღჭურვა.

იგეგმება ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის ეტაპობრივი გაფართოება და ყოველწლიურად ერთ სტრუქტურულ ერთეულში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

21. შეჯამება - 2021 წლის ძირითადი ტენდენციები

2021 წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ტენდენციები, მიღწევები და სამომავლო გეგმები შემდეგია:

განრიდება-მედიაციის პროგრამა

- 2021 წლის მონაცემებით სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა 363 არასრულწლოვნის და 18-დან 21 წლამდე ასაკის 270 პირის მიმართ. განრიდების რაოდენობრივი მაჩვენებელი 2021 წელს 2020 წელთან შედარებით გაზრდილია. 2020 წელს განრიდებული იქნა 298 არასრულოვანი და 18-დან 21 წლამდე ასაკის 236 პირი;
- განრიდების მაჩვენებელი 2021 წელსაც მკვეთრად აღემატება არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან განრიდების მაჩვენებელი 59%-ს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 41%-ს წარმოადგენს. არასრულწლოვანთა განრიდების ხვედრითი წილი ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით 2021 წელს 2020 წელთან შედარებით 4%-ით არის მომატებული;
- 2021 წელს განრიდებული 363 და 91 იმ ბრალდებული არასრულწლოვნიდან, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ (სულ 454 არასრულწლოვანი), განრიდების მაჩვენებელი 80%-ია, აღნიშნული მაჩვენებელი 2020 წელს 75% გახლდათ;
- 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 268 პირს (42%). 2020 წელს მძიმე კატეგორიის დანაშაული განრიდებულ არასრულწლოვათა 32%-ს ჰქონდა ჩადენილი;
- წინა წლების მსგავსად, 2021 წელსაც განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშულზე დაფიქსირდა. 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 239 პირს, ანუ 67%-ს;
- 2021 წელს არასრულწლოვნის წესით განრიდებულ პირთა საქმეებზე (არასრულწლოვნები და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირები) მედიაციის საერთო მაჩვენებელი 65%-ია. მედიაციის მაჩვენებელი 2021 წელს მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. 2020 წელს წარმატებული მედიაციის მაჩვენებლი მხოლოდ 41% გახლდათ;
- არასრულწლოვნის განრიდების შესახებ გადაწყვეტილება ძირითად შემთხვევებში დანაშაულის ჩადენიდან და გამოძიების დაწყებიდან პირველი 1 თვის ვადაში მიიღება;
- 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან განრიდებამდე ბრალდებულად ცნობილი იქნა 24 (7%) არასრულწლოვანი. 2021 წელს განრიდებამდე სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2020 წელთან შედარებით 3%-ით არის შემცირებული. 2020 წელს განრიდებული 298 არასრულწლოვნიდან განრიდებამდე ბრალდებულად ცნობილი იქნა 30 (10%) არასრულწლოვანი;

- 2021 წელს სასამართლომ განრიდების მიზნით პროკურორს დაუბრუნა მხოლოდ 18 (5%) არასრულწლოვნის საქმე. 2020 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელიც მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. 2020 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მიზნით სასამართლოდან სისხლის სამართლის საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი 9% გახლდათ;
- 2021 წელს განრიდებულთა მიმართ გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის თანახმად ძირითად შემთხვევებში არასრულწლოვანთან განრიდების ხელშეკრულება 3-დან 7 თვემდე ვადით ფორმდება;
- 2021 წელს განრიდებული 363 არასრულწლოვნიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განმეორებითი დანაშული ჩადენილი ჰქონდა მხოლოდ 8 (2%) არასრულწლოვანს. რვავე მათგანის მიმართ შეწყდა განრიდების ხელშეკრულება. ბოლო წლების მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ ყოველწლიურად ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენილ მაჩვენებელი 2-3%-ია.

სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები არასრულწლოვანთა მიმართ

- 2021 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 251 შემთხვევაში დაიწყო, საიდანაც 43 არასრულწლოვნის მიმართ დევნა ერთდროულად 2 ან მეტ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა. მონაცემთა ანალიზის თანახმად, 2021 წელს დევნა 196 არასრულწლოვნის მიმართ 251 საქმეზე განხორციელდა. 2021 წელს 2018 წლის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყბეის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 2020 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 258, 2019 წელს კი 330 არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო;
- 2021 წლის მონაცემებით, 64% შემთხვევაში დევნა მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, 29% შემთხვევაში - ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 7% შემთხვევაში - განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განხორციელდა. 37% შემთხვევაში კი სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო დანაშაულთა ერთობლიობაზე;
- 2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა უმრავლესობას, გასული წლების მსგავსად, ჩადენილი ჰქონდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- 2021 წელს 66% შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან 1 თვის ვადაში იქნა მიღებული;
- 2021 წელს ბრალდებული არასრულწლოვნებიდან 15% შემთხვევაში პროკურატურის მიერ არ იქნა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოთხოვნილი იქნა მხოლოდ 29% შემთხვევაში, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი პროკურორის მიერ მოთხოვნილი იქნა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი შემცირებულია. 2020 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა 39%-ის მიმართ პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მოითხოვა;
- 2021 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სასამართლოს მიერ განხილულ შუამდგომლობათა საერთო რაოდენობიდან მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების არდაკმაყოფილების მაჩვენებელი მხოლოდ 2%-ია, სრულად დაკმაყოფილდა შუამდგომლობათა 54%, გირაოს ოდენობის ცვლილებით დაკმაყოფილდა - 35%, შეეფარდა სხვა აღკვეთის ღონისძიება - 10%. 2021 წელს გაზრდილია არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობათა სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი. 2020

წელს სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობათა 45%;

- 2021 წელს ბრალდებული არასრულწლოვნებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მსჯავრდებულია 84 არასრულწლოვანი, მათგან 71%-ის მიმართ გამოყენებული იქნა არასაპატიმრო სახის სასჯელი.

დისკრეცია

- 2021 წელს 25 არასრულწლოვნის მიმართ ქმედების ხასიათის, ზიანის მცირე მნიშვნელობისა და განმეორებითი დანაშაულის რისკის გათვალისწინებით, პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, განრიდების გარეშე უარი თქვა ბრალდებაზე. მოცემულ შემთხვევაშიც, არასრულწლოვანთა მიერ ძირითადად ჩადენილი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

რეფერირება

- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დანაშაულის პრევენციის ცენტრის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფერირების ცენტრში პროკურატურის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი 14 წლამდე ასაკის 34 არასრულწლოვანი გადამისამართდა;
- 2021 წლის მონაცემების საქართველოს პროკურატურის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში“ გადამისამართდა ძალადობის მსხვერპლი/სავარაუდო მსხვერპლი 24 არასრულწლოვანი, საიდანაც 9 არასრულწლოვნის მიმართ იკვეთებოდა ფიზიკური ძალადობის, ხოლო 7 არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნები, 3 არასრულწლოვნის მიმართ ადგილი ჰქონდა სექსუალურ ძალადობას, 2 არასრულწლოვანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი იყო, 1 შემთხვევაში სახეზე გვქონდა უგულებელყოფა და ფსიქოლოგიური ძალადობა, 1 შემთხვევაში იკვეთებოდა ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის ფაქტები, ხოლო 1 შემთხვევაში - ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტები;
- 2021 წელს პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ფსიქოლოგიურ-სოციალური ცენტრის კონცეფციის შემუშავებაში. ცენტრის პილოტირების რეჟიმში ამოქმედების მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასა და გაეროს ბავშვთა ფონდთან კოორდინირებული თანამშრომლობით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, შემუშავებული იქნა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები, რომელიც დამტკიცდა გენერალური პროკურორის ბრძანებით. 2022 წლის 4 მარტს ცენტრი თბილისის მასშტაბით ამოქმედდა საპილოტე რეჟიმში. პროკურატურა ჩართულია ცენტრის ინტერსექტორული ჯგუფის მუშაობაში, რათა პილოტირების ეტაპზე ჩამოყალიბდეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა მიმართ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების განხორციელების ერთგვაროვანი პრაქტიკა, რომელიც სრულად დაეფუძნება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებას.

მულტიდისციპლინური მიდგომების გაძლიერება

- 2021 წლის 30 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში პროკურატურის ინიციატივით და ორგანიზებით არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს 5 შეხვედრა გაიმართა. მულტიდისციპლინური ჯგუფების შეხვედრებს ესწრებოდა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი.

ბავშვზე მორგებული გარემო

- 2021 წელს ბავშვზე მორგებული გარემო დამატებით შეიქმნა სენაკისა და საჩხერის რაიონულ პროკურატურებში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შესაბამისი სივრცეების ტექნიკური აღჭურვა;
- იგეგმება ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფციის ეტაპობრივი გაფართოება და ყოველწლიურად ერთ სტრუქტურულ ერთეულში შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს არასრულწლოვანების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგს, რის საფუძველზეც ყოველწლიურ ანგარიშში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ტენდენციები და დაისახება არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები. როგორც ანგარიშის შესავალ ნაწილში აღინიშნა, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე 2022 წლის დასაწყისში უკვე განხორციელდა შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, განახლდა 2016 წლიდან მოქმედი რეკომენდაციები, მოხდა მათი სისტემატიზაცია და გაერთიანება კრებულის სახით. აღნიშნული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს პროკურორთა საქმიანობის ხარისხის ამაღლებას და არასრულწლოვანთა მიმართ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართალწარმოების განხორციელებას.

საქართველოს გენერალური პროკურატურა

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

სტრატეგიული განვითარების სამმართველო

2022 წელი